

ნინო ფილაური

Frederick University, Cyprus

კავკასიის ბიზნესის სკოლა

„როდესაც გავიგე რომ გაცვლითი პროგრამით კვიპროსში მივდიოდი, მაშინვე მივხვდი რომ დაუვიწყარი და ბედნიერებით სავსე დღეები და თავგადასავალი მელოდა. Erasmus+ ის პროგრამამ საშუალება მომცა, უდიდესი გამოცდილება მიმეღო, მესწავლა და მეცხოვრა საზღვარგარეთ, გავცნობოდი სხვა ქვეყანასა და კულტურას, შევხვედროდი უამრავი ეროვნების ადამიანს. ამ 4 თვის განმავლობაში უამრავი მეგობარი შევიძინე, ვიმოგზაურე და რაც ყველაზე მთავარია, დამოუკიდებელი და ძლერი გავხდი. გავეცანი სწავლის სხვადასხვა მეთოდს, რამაც ცხოვრება და სწავლის პროცესი უცხო ქვეყანაში, საინტერესო გახადა.

ESN (Erasmus+ Students Network) კი ყოველდღიურად ცდილობდა, თითოეული დღე დაუვიწყარ მოგონებად ექცია. ახლა კი ზუსტად ვიცი, ეს იყო ყველაზე ნაყოფიერი სემესტრი და ცხოვრების ის ეტაპი, რომელმაც კარიერულად და პიროვნულად ძალიან გამზარდა და ჩამომაცალიბა. ეს იყო საუკეთესო გადაწყვეტილება და შანსი, რომელიც უნივერსიტეტმა მომცა!”